სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ.ჭოველიძის ქ.10ა

10a T.Chovelidze Str.,0108 Tbilisi,Georgia

**N4/4099** 26 / იანვარი / 2017 წ.

**შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრს“ (ს/კ: 405062523)**
**მის.: ქ.თბილისი, ატენის ქუჩა N18ა, ბინა N43**
**ტელ.: +995551502804**

თქვენი 2016 წლის 2017 წლის 11 იანვრის N2745/ფ წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში: სააგენტო) არ არის წინააღმდეგი მოახდინოთ სააგენტოსა და შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრს“ (ს/კ: 405062523; შემდგომში: კომპანია) შორის 2015 წლის 26 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე პირობადებულ საკუთრებაში გადმოცემულ უძრავ ქონებაზე (ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-10 კმ-ზე მდებარე 11998.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ს/კ: N01.13.01.010.082 (დღეის მდგომარეობით ს/კ: 01.13.01.010.088 და ს/კ: 01.13.01.010.089)) მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, მას შემდეგ რაც სააგენტოში წარმოადგენთ, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 13 აგვისტოს N004201914 დასკვნის (სააგენტოში რეგისტრ. 15.08.2014 N40678/04) გათვალისწინებით, შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულების ოდენობის საბანკო გარანტიას, კერძოდ, 60 400 (სამოცი ათას ოთხასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (საბანკო გარანტიის გაცემის დღისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსის გათვალისწინებით) ოდენობით.

ამასთან, აღნიშნული საბანკო გარანტია უნდა უზრუნველყოფდეს ზემოხსენებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, ამავე ხელშეკრულების მოშლის და მის საფუძველზე გადაცემული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების შემთხვევაში, დემონტაჟის საფუძველზე სახელმწიფოს მიმართ დამდგარი ზიანის ანაზღაურებას და მისი მოქმედების ვადა უნდა იყოს განსაზღვრული არანაკლებ 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

წინამდებარე თანხმობა ძალაშია მხოლოდ ზემოხსენებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

დანართის სახით გიგზავნით სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ზემოხსენებულ დასკვნას.

პატივისცემით,

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური